

სსიპ - კოლეჯში „აისი“  
მატერიალური რესურსების გამოყენების ზოგადი წესი

1. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სსიპ - კოლეჯში „აისი“ თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების ზოგად წესებს.
2. კოლეჯის თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს თანაბარი უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
3. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს სამსახურებრივი მოვალეობების სრულყოფილად შესრულებისა და სწავლების ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის.
4. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ/მუშა მდგომარეობაში არსებობა და კომუნიკაციების, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის.
5. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/ადჭურვილობა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
6. კოლეჯის თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის სრულყოფილად შესრულებისათვის უფლებმოსილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს მიმართოს ზეპირსიტყვიერად ან საჭიროების შემთხვევაში სამსახურებრივი ბარათით.
7. კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულებისა და „ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის“ შესაბამისად.
8. კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში კვებისა და დასვენებისთვის ისარგებლონ კოლეჯის სამზარეულოთი, ხოლო სპორტული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის ღია და დახურული სპორტული მოედნებითა და შესაბამისი ატივობებისათვის გამოყოფილი ფართით.
9. საარქივო სივრცით სარგებლობასა და დოკუმენტაციის საარქივო წესით დაარქივებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია კოლეჯის საქმისმწარმოებელი.
10. კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტ რესურსებით, სამუშაო დღის საათებში 08:30 საათიდან 17:30 საათამდე.
11. პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელები შესაძლებლობა აქვთ ინტერნეტის მეშვეობით მოიძიონ სასწავლო ინფორმაცია, გადმოწერონ და გადაწერონ ინფორმაციის მატარებლებზე, შეასრულონ პრაქტიკული დავალებები როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.
12. აკრძალულია კოლეჯის თანამშრომლებთან შეთანხმების გარეშე პროგრამების ინსტალაცია, გასართობი და სხვა არასასწავლო, არასაგანმანათლებლო საიტების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული კოლეჯის პერსონალის სამუშაოსთან ან/და საგანმანათლებლო

საქმიანობასთან. აგრეთვე, არამიზნობრივად, ე.წ. ჩატისა და მსგავსი ინტერნეტ მომსახურების გამოყენება.

13. დაუშვებელია მესამე პირების მიერ კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკითა და პროგრამებით სარგებლობა.
14. ტექნიკის დაზიანების ან პროგრამული ხარვეზის შემთხვევაში, თითოეული თანამშრომელი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პრობლემა კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორს.
15. ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, რეკომენდებულია კომპიუტერისა და მასთან მიერთებული პერიფერიული მოწყობილობების გამორთვა.
16. კოლეჯის საოფისე/სასწავლო აუდიტორიის ტექნიკის დაკარგვის შემთხვევაში თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დირექტორს.
17. აკრძალულია კომპიუტერის ან მისი რომელიმე ნაწილის სხვა პირზე გადაცემა და კომპიუტერზე დამატებითი, შიდა და პერიფერიული მოწყობილობების მიერთება კოლეჯის დირექტორის მოადგილის/ქსელის ადმინისტრატორის ნებართვის გარეშე. წერილობითი ნებართვის გარეშე კომპიუტერული და სხვა საკომუნიკაციო ტექნიკის დემონტაჟი და სხვა ადგილას გადატანა.
18. ინტერნეტი წარმოადგენს კოლეჯის საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს. იგი მიეწოდება ყველა თანამშრომელს და მისი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ საჭიროებისამებრ.
19. კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე, კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს სოციალური ქსელების მოხმარება და დირექციის მიერ დაწესებულ სხვა აკრძალულ ინტერნეტ რესურსებზე წვდომა.
20. აკრძალულია გაცნობის, გასართობი, სათამაშო, ახარტული და მსგავსი ტიპის ვებგვერდების გამოყენება, რომლებიც არ არის პირდაპირ კავშირში კოლეჯის საქმიანობასთან.
21. აკრძალულია აუდიო და ვიდეო ფაილების გადმოწერა, რომელიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული საქმიანობის სფეროსთან.
22. მიუხედავად ანტივირუსის არსებობისა, ყველა მომხმარებელი ვალდებულია გაუხსნელად წაშალოს საეჭვო, უცნობი გამომგზავნის მისამართიდან მიღებული ელექტრონული ფოსტა.
23. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი პასუხისმგებელია არსებული პრობლემის დროულად მოგვარებაზე.
24. თანამშრომლები და პროფესიულ სტუდენტები/მსმენელები ვალდებულნი არიან არ დააზიანონ კოლეჯის ტექნიკა და ინვენტარი, გამოყენების შემდეგ გამორთონ კომპიუტერები, დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სიჩუმე კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის დროს.
25. ტექნიკისა და ინვენტარის განზარახ დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურება მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.